საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 23 თებერვალი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 10

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტი დანართი N1 და N2-ის შესაბამისად;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის მიერ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გახარჯული საწვავის მისაღებად და ჩამოსაწერად „ავტომობილის საგზურის ფურცელი“ დანართი N3 -ის შესაბამისად;

გ) „ხელშეკრულება ავტომანქანით მომსახურების გაწევის თაობაზე“ დანართი N4 -ის შესაბამისად.

მუხლი 2

განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის და სატელეფონო ბარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის N49 განკარგულება;

მუხლი 3

განკარგულება ამოქმედდეს გაცნობისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 01 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია